

## სასკოლო პრაქტიკა - ინოვაციური მეთოდებით სწავლება

მაია ესართია

ქ.შარტავას სახელობის აფხაზეთის მე-6 საჯარო სკოლის  
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი  
ქუთაისი, ნიკეას ქუჩა N15

### ანოტაცია

ყველასათვის ცნობილია, რომ სამყაროს შეცნობის ძირითადი საშუალება მოზარდისათვის სწავლაა, სწავლის საფუძველი კი- კითხვის უნარია. ჩვენ, პედაგოგებს, მშობლებს გვევალება ხელი შევუწყოთ მოზარდთა სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებას, რომელშიც გადამწყვეტი როლი კითხვასა და კითხვისადმი ონტერესს, **ზოგად წიგნიერებას** ენიჭება.

ერთ-ერთი ინოვაციური, მოსწავლეზე ორიენტირებული, საინტერესო და ახალი პროექტია **სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით**. ფილმები, როგორც აუდიოვიზუალური საშუალება, საინტერესოდ გადმოსცემენ ინფორმაციას კონკრეტულ თემებზე, წარმოადგენენ რეალური ადამიანების ისტორიებს. ისინი, შესაძლოა, ცალკეული პრობლემების გადაჭრისათვის მოტივაციის წყაროდ იქცნენ.

აღსანიშნავია, რომ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, თანამედროვე სამყაროში, ტრადიციულ ტექსტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გაჩნდა ახალი ცნება - **მედიაწიგნიერება**.

თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძკლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ აუცილებელია, მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, სწორი არჩევანის გაკეთება და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება.

ამ თვალსაზრისით, მედიაწიგნიერება ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ მეთოდის, აქტივობის მოდიფიცირება, ცვლა, წარმოადგენს **მასწავლებლის ხელოვნებას**, რომელიც სწორედ, სწავლა-სწავლებისადმი შემოქმედებით მიდგომაში გამოიხატება. შესაძლებელია, სასწავლო მიზნისა და კლასის მზაობის გათვალისწინებით შესაძლებელია მათი ადაპტირება კონკრეტული კლასის საჭიროებებისა და ხელმისწვდომი რესურსების მიხედვით.

**საკვანძო სიტყვები:** სკოლა, მეთოდი, პრაქტიკა.

ყველასათვის ცნობილია, რომ სამყაროს შეცნობის ძირითადი საშუალება მოზარდისათვის სწავლაა, სწავლის საფუძველი კი- კითხვის უნარია. ჩვენ, პედაგოგებს, მშობლებს გვევალება ხელი შევუწყოთ მოზარდთა სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებას, რომელშიც გადამწყვეტი როლი კითხვასა და კითხვისადმი ონტერესს, **ზოგად წიგნიერებას** ენიჭება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკანასკნელ წლებში მასშტაბური რეფორმები მიმდინარეობს, ქვეყანაში კეთილდღეობის მაჩვენებელი (HDI-ინდექსი) ჯერჯერობით დაბალია. რაც უფრო ნაკლები მოსწავლეა სკოლაში ეკონომიურად ხელმოკლე ოჯახებიდან, მით უფრო მაღალია წიგნიერების მაჩვენებელი.

სასკოლო რესურსების მისაწვდომობის მაღალი ინდექსი (კვალიფიციური მასწავლებელი, სათანადო სასწავლო მასალები, სასკოლო პირობები და სივრცე, კომპიუტერები და კომპიუტერული პროგრამები, ბიბლიოთეკა, აუდიო-ვიზუალური რესურსები) მნიშვნელოვანი კავშირშია განათლების ხარისხის დონის მიღწევებთან.

[წიგნიერება PIRLZ-2006 საქართველოში]

იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა განათლების ხარისხზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებლის კვალიფიკაციას, სწავლების მეთოდოლოგიას, სასკოლო და კლასგარეშე აქტივობებს.

სასკოლო გარემოში დანერგილი აქტივობები, რომელიც ხელ უწყობს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას, თითოეულმა მასწავლებელმა უნდა შექმნას და თავისი მოქმედების პტალფორმაში მოაქციოს. მოსწავლეზე ორიენტირებული და კვლევების შედეგების მიხედვით დაგეგმილი პროგრამა (სილაბუსი) არის ერთ-ერთი სტანდარტი მასწავლებლის მუშაობისთვის .

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ დღეს ახალ თაობას გააჩნია ახალი ხედვა, არ სურთ „ტრადიციული“ სტილის გაკვეთილები( როგორც ისინი აღმიშნავენ უჭირთ

გაკვეთილზე ჯდომა). საჭიროა მათი ჩართვა სწავლის პროცესში, რამაც განაპირობა მასწავლებლის „ მორგება“ თანამედროვეობისათვის, ფიქრი მოსწავლეთა სასწავლო კურსის მიმართ მოტივაციის ამაღლებისათვის. მოსწავლეებს უჭირთ წიგნის კითხვა, დაბალია წიგნიერების მაჩვენებელი საქართველოში.

საკითხის მოგვარება და გადაწყვეტა სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი. ყველას ხვედრითი წილი - მშობლის , მასწავლებლის, საზოგადოების, ქვეყნის, - მაღალია.

როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, განვსაზღვრე პროფილი, სამოქმედო სტანდარტი, რომელსაც უკვე მეოთხე წელია ვიყენებ პრაქტიკაში.

**კერძოდ?!**

სკოლაში ვხელმძღვანელობ *მწიგნობართა კლუბს*, რომლის მისია არის მოსწავლეებში **წიგნიერების დონის ამაღლება**. ეს კი მრავალმხრივ და საინტერესო აქტივობების სახით ხორციელდება. კლუბი სარგებლობს ბიბლიოთეკით, რომელსაც ახალი წიგნებით ამარაგებს აფხაზეთის განათლების სამინისტრო. მოსწავლეებს საშუალება აქვთ, გაეცნონ და წაიკითხონ მათთვის საინტერესო წიგნებს. წაკითხულის გააზრებაზე კი ვმუშაობთ ერთობლივად. მოსწავლეები ჩართული არიან წიგნიერების დონის ამაღლების კონკურსში „ცოდნა“, სადაც მე-7 კლასელთა შორის ქვეყნის მასშტაბით პირველი ადგილი ჩემმა მოსწავლემ მარიამ კურტანიძემ აიღო.

კლუბი ახორციელებს საინტერესო ღონისძიებებს, სადაც ჩართული არიან მოსწავლეები ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით:

ტარდება სამოდულო გაკვეთილები, პროექტები, გასვლითი შემეცნებითი აქტივობები, თემატური ღონისძიებები, ლიტერატურული სადამოები, ვმონაწილეობთ კონფერენციებსა და სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო კონკურსებში, ოლიმპიადებში, სახალხო დღესასწაულებში და სხვ.

ერთ-ერთი ინოვაციური, მოსწავლეზე ორიენტირებული, საინტერესო და ახალი პროექტი, რომელიც დავიწყეთ, - არის *სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით*. ეს პროექტი, ასევე ერთ-ერთ აქტუალურ მეთოდოლოგიად არის აღიარებული, რომლის აპრობირებაც მიმდინარეობს მწიგნობართა კლუბის ფარგლებში .

პროექტის მიზანია, მოსწავლეების კრიტიკული აზროვნებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა.

გამოცდილება აჩვენებს, რომ დოკუმენტური ფილმების ჩვენება ეფექტური საშუალებაა საიმისოდ, რათა მოსწავლეებში მნიშვნელოვანი საკითხები განვიხილოთ და გავაანალიზოთ.

ფილმები, როგორც აუდიოვიზუალური საშუალება, საინტერესოდ გადმოსცემენ ინფორმაციას კონკრეტულ თემებზე, წარმოადგენენ რეალური ადამიანების ისტორიებს. ისინი, შესაძლოა, ცალკეული პრობლემების გადაჭრისათვის მოტივაციის წყაროდ იქცნენ.

როგორ გამოვიყენოთ *სასწავლო ფილმები* გაკვეთილზე:

- მნიშვნელოვანია წინასწარ გავეცნოთ ფილმს, რომ უკეთ დავგეგმოთ გაკვეთილი. შევარჩიოთ შესაბამისი აქტივობები, მოვიძიოთ საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სასურველი ინფორმაცია თემასთან დაკავშირებით. გადავწყვიტოთ, ფილმის რა ნაწილს ვაჩვენებთ გაკვეთილზე. გასათვალისწინებელია, რომ ფილმი შესაბამისობაში უნდა იყოს მოსწავლეთა წინარე ცოდნასთან.
- ფილმში წარმოდგენილი თემების შესახებ საბაზისო ინფორმაციის გაცნობა საშუალებას გვაძლევს მოსწავლეების შეკითხვებზე კომპეტენტური პასუხი გავცეთ.. სადისკუსიო თემები უნდა დავუკავშიროთ მოსწავლეთა ინტერესსა და გამოცდილებას.

- სასურველია წინასწარ მოვამზადოთ ჩვენების ტექნიკური მხარე, მაგალითად, შესაბამისი აპარატურა, საკლასო ოთახი და სხვ.
- ახალი ცოდნის მიღებასთან ერთად მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ დამსწრეთა შორის საკითხის გლობალურ გააზრებასა და მის მიმართ დამოკიდებულების ცვლილებებზე.
- მნიშვნელოვანია, ფილმების ჩვენების დროს ვიზრუნოთ პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნაზე, წავახალისოთ მოსწავლეები ჩაერთონ დისკუსიაში.
- ისე დავეგეგმოთ გაკვეთილი, რომ ფილმის, ან მისი ნაწილის დასრულების შემდეგ დრო დავუთმოთ დისკუსიას და აქტივობას, რადგან მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ იმსჯელონ წარმოდგენილ თემებზე და დასვან მათთვის საინტერესო კითხვები.
- ფილმების მეშვეობით სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი სწორედ, ფილმის ასახვა/მსჯელობაა. ხშირად ფილმი წარმოადგენს კონკრეტული ადამიანების ისტორიებს და მძიმე რეალობას. მოსწავლეები ამ ყოველივეს მძაფრად აღიქვამენ. ფილმის ჩვენების შემდგომი ასახვა/მსჯელობა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დაუყოვნებლივ გამოხატონ საკუთარი შთაბეჭდილებები, ემოციები, დამოკიდებულებები, მოუსმინონ და გაიზიარონ სხვების მოსაზრებები.
- დამსწრეებმა შესაძლებელია მოულოდნელი რეაქციები გამოავლინონ. უნდა გვახსოვდეს, რომ ფილმები ხშირად გავლენას ახდენენ ადამიანის შეხედულებებზე და დამოკიდებულებებზე. მოსწავლეები არ უნდა ვაძულოთ პასუხი გასცენ ყველაა შეკითხვას; არ შევაფასოთ მათი პასუხები. განსხვავებული რეაქციების არსებობის ფაქტი მეტ სენსიტიურობას მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან ფასილიტაციის პროცესში.
- სასურველია, ფილმის ჩვენების შემდგომი განხილვისათვის მოვიწვიოთ კომპეტენტური ადამიანები/ სტუმრები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები...
- სასურველია მოსწავლეებს მივუთითოთ იმ კონკრეტული ქვეყნის მდებარეობა, სააც სიუჟეტი ვითარდება.

[სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით/ მასწავლებლის წიგნი]

სრულ შესაძლებლობას ვხედავ დავაარსოთ სკოლაში *კინოკლუბი* და მოვიწვიოთ ახალგაზდრები კინო ჩვენებებზე. კინო კლუბში ფილმის ჩვენების შემდეგ მოსწავლეებს თავად შეუძლიათ ფასილიტაცია გაუწიონ განხილვას.

ეს პროექტი მიზნად ისახავს ფილმების, როგორც ინსტრუმენტის გამოყენებას ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებაში. მოზარდებში ხელს შეუწყობს კინოხელოვნების პოპულარიზაციას, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნებისა და ესთეტიკური აღქმის უნარის განვითარებას.

[<http://freea.ge/sazogadoeba/1292-theatraluris-kinoklubi.html?lang=ka-GE>]

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

კინოკლუბის წევრები კრიტიკოსების მიერ აღიარებული ფილმების სანახავად შეიკრიბებიან პერიოდულად (კვირაში ერთხელ სავარაუდოდ).

სენსის შემდეგ კი მოწვეულ სტუმრებთან ერთად განიხილავენ . ( მოწვეული იქნებიან ასევე თანატოლები სხვა სკოლიდან).

ამ პროექტით მოსწავლეები კულტურულ ცხოვრებაშიც ჩაერთვებიან. მათი აქტიური ჩართვისათვის სათანადო მოტივაციის შექმნა, სწორედ, ამ პროექტითაც მარტივადაა შესაძლებელი. მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნის, უნარების შეფასება მოხდება მათ მიერ შესრულებული რეფერატებით, პრეზენტაციებით, დისკუსიაში აქტიური მონაწილეობით. კინოკლუბის მიერ ფილმების ჩვენება გაითვალისწინებს სხვადასხვა საგნების ფარგლებში თემების განხილვას. განსაკუთრებით, სამოქალაქო განათლების, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, ბიოლოგიის, უცხო ენებისა და სხვა საგნებთან ინტეგრირებულად. მოსწავლეების ინტერესების მიხედვით დაგვეგმავთ ყოველი ახალი ფილმისა და საკითხის გაანალიზებას.

ლიტერატურის გაკვეთილის ფარგლებში არაერთხელ გვინახავს ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმები, რომელებიც ქართული კინოხელოვნების საგანძურს წარმოადგენენ (კლასებთან და საკლასო პროგრამის ფარგლებში). ეს მეთოდი ახლა უფრო გავრცელებული და ინტენსიური ხდება.

ახლა კი მინდა მოკლედ მოგიხსნათ ერთ-ერთ ფილმზე, რომელიც გამოვიყენე საგანმანათლებლო პროგრამიდან „ერთი მსოფლიო სკოლებში“, რომელიც ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN-ის) მიერ ჩეხეთის რესპუბლიკაში 2001 წლიდან მიმდინარეობს, ხოლო საქართველოში კი 2011 წლიდან დაიწყო.

მოსწავლეებმა ნახეს ფილმი: „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“. ცნობილი ფრანგი მწერლის ჟან ჟიონიოს მოთხრობა „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“ მოგვითხრობს ელიზაბერდ ბუფიეს, მარტოხელა მწყემსის თავდაუზოგავი და წარმატებული მცდელობის ისტორიას, გაეშენებინა ტყე უდაბურ ადგილზე. ფილმი გვიჩვენებს რამდენად დიდია ადამიანის გავლენა გარემოზე. გვაფიქრებს გავუფრთხილდეთ და დავუტოვოთ მომავალ თაობას მსოფლიო იმაზე უფრო ლამაზი და პერსპექტიული, ვიდრე ჩვენ გვერგო მემკვიდრეობად.

ძირითადი თემები: გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება

დამატებითი თემები:

- ადამიანი და გარემო, ტყის გადარჩენა
- რატომ არის ტყეები ადამიანის სიცოცხლისათვის ასეთი მნიშვნელოვანი;
- რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ტყის სისტემატურ გაჩეხვას

სასწავლო მიზნები: გარემოს დაცვა;

ავსახოთ ფილმიდან მიღებული შთაბეჭდილებები.

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

გაკვეთილზე გამოყენებული იყო აქტიური სავარჯიშოები და საინტერესოდ წარიმართა სასწავლო პროცესი, ამას ადასტურებს ფოტო-ვიდეო არქივი და მოსწავლეთა წერიითი ნამუშევრები.



The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

მსგავსი აქტივობები გაგრძელდება მომდევნო სასწავლო წლიდან უფრო აქტიურად და ჩატარდება შემოქმედებითი, ინოვაციური გაკვეთილები, რომლებიც ხელს შეუწყობენ წიგნიერი, განათლებული ახალგაზრდის ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესს. წიგნიერების ცნება კი გულისხმობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და ინდივიდის პოტენციალს, მიაღწიოს მიზნებს, გაიდრმავოს ცოდნა, აიმაღლოს შესაძლებლობები და სრულიად მოახდინოს საზოგადოებაში ინტეგრირება.

მწიგნობართა კლუბის მიმდინარე პრაქტიკული სასწავლო კურსი, რომელიც ეფუძნება ინოვაციურ მეთოდოლოგიებს, უკავშირდება ისეთ უნარებს, როგორცაა ზეპირი კომუნიკაცია, წაკითხულისა და ნანახის განხილვა და დისკუსია, კრიტიკული აზროვნება, წარმოსახვა და სხვ.

კინოკლუბის ფარგლებში საჩვენებელი ფილმების სია თან ერთვის საკონფერენციო თემას.

მათ შორისაა ისეთი ფილმები, როგორცაა:

- ✚ გ.შენგელაიას ფიროსმანი;
  - ✚ ე.შენგელაიას „ცისფერი მტები ანუ დაუჯერებელი ამბავი“;
  - ✚ გ.შენგელაიას „ალავერდობა“;
  - ✚ ანიმაციური ფილმი :“არგონავტები“;
  - ✚ თ.აბულაძის „სხვისი შვილები“;
  - ✚ ვ.ამაშუკელის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ და სხვა.
- სულ 50-მდე ფილმია, აქედან სურვილისა და ინტერესების მიხედვით შევარჩეთ და ვნახავთ ფილმებს.
- [<http://ka.wikipedia.org/wiki>]

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამჭოლ კომპეტენციათა შორის გამორჩეულად არის აღსანიშნავი **წიგნიერება**. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, თანამედროვე გაგებით წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს; აღსანიშნავია, რომ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, თანამედროვე სამყაროში, ტრადიციულ ტექსტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედია ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გაჩნდა ახალი ცნება - **მედიაწიგნიერება**. თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ აუცილებელია, მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის „გაფილტვრა“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება.

ამ თვალსაზრისით, მედიაწიგნიერება ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას; მისი, როგორც აქტიური რესურსის გამოყენება სასკოლო სივრცეში, საშუალებას იძლევა, სხვა გამჭოლი მიზნების აქტივიზაციის პირობებში ,

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

გამოუმუშავდეს მოსწავლეს მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება.

[პაატა პაპავა; თამარ ჭანტურია - წიგნიერება - მასწავლებლის სახელმძღვანელო; თბ.2012წ]

და ბოლოს, ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ მეთოდის, აქტივობის მოდიფიცირება, ცვლა, წარმოადგენს *მასწავლებლის ხელოვნებას*, რომელიც სწორედ, სწავლა-სწავლებისადმი შემოქმედებით მიდგომაში გამოიხატება. შესამაბისად, სასწავლო მიზნისა და კლასის მზაობის გათვალისწინებით შესაძლებელია მათი ადაპტირება კონკრეტული კლასის საჭიროებებისა და ხელმისაწვდომი რესურსების მიხედვით. მთავარია, პედაგოგმა შეინარჩუნოს მეთოდის იდეა და ძირითადი ფორმები.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკაც, სწორედ, ასეთ მიდგომას ეფუძნება და ამით საზრდოობს . როგორი მოდელიც ხარ მოსწავლეებისთვის, ისინიც გემსგავსებიან, გბაძავენ, მოგყვებიან, გისმენენ, გენდობიან და თანამშრომლობით ისახება ახალი გზები, მიზნები, ხედვა და ნათელი მომავალი.

/სტატიაში გამოყენებულია 3 ფოტო პირადი არქივიდან/